პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი | № 105 (12313) | კვირა, 6 მაისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

„პრავდის“ 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის გახსნისას

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მებრძოლი ორგანოს გაზეთ „პრავდის“ 50-ე წლისთავს. **(მქუხარე ტაში).**

„პრავდა“ დაიბადა 1912 წლის 5 მაისს რუსეთის მუშათა მოძრაობის რევოლუციური აღმავლობის მძაფრ ტალღებში. იგი შეიქმნა პეტერბურგის მუშათა, მთელი რუსეთის რევოლუციონერ მუშათა რევოლუციური შემოქმედებით.

„პრავდის“ სათაურებთან იდგა მშრომელთა საყვარელი ბელადი, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. **(ხანგრძლივი ტაში).** მან მისცა „პრავდას“ დიდი სასიცოცხლო ძალა, გაზეთის შექმნა ჭეშმარიტად ისტორიული საქმე იყო.

„პრავდის“ 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ჩვენი დღევანდელი ზეიმი ემთხვევა მეორე ღირსშესანიშნავ თარიღს — დიდი მოაზროვნისა და რევოლუციონერის, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის დაბადების დღეს. **(ხანგრძლივი ტაში).**

უკვდავია მარქსის სახელი, უკვდავია მისი საქმეები და ყოველისმძლე მოძღვრება. მარქსიზმ-ლენინიზმი გახდა დიდი ძალა, რომელიც გარდაქმნის მსოფლიოს, გახდა მილიონობით ადამიანის დროშა, მთელი ქვეყნებისა და ხალხების იდეოლოგია.

სიამაყისა და დიდი კმაყოფილების გრძნობით აღვნიშნავთ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი ყველაზე ურყევი მქადაგებელი და მედროშეა ჩვენი იუბილარი გაზეთი „პრავდა“. **(ტაში).** ეს არის მისი მძლავრი ძალა, ამხანაგებო! **(ხანგრძლივი ტაში).**

რატომ ასეთი ზეიმით, ასეთი სიყვარულით აღვნიშნავთ „პრავდის“ ორმოცდამეათე წლისთავს? იმიტომ, რომ „პრავდის“ ისტორია განუყოფელად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიასთან, ჩვენი სამშობლოს მშრომელების რევოლუციურ ბრძოლასთან ცარიზმისა და კაპიტალიზმის მოსპობისათვის, მუშათა კლასის გამარჯვებისა და მშრომელთა ძალაუფლების დამკვიდრებისათვის ჩვენს ქვეყანაში, სოციალიზმის აშენებისა და კომუნიზმის — მსოფლიოში ყველაზე ნათელი, ყველაზე სამართლიანი საზოგადოების გამარჯვებისათვის. **(ტაში).**

ყველა საბჭოთა ადამიანის შეგნებული ცხოვრება მჭიდროდ დაკავშირებულია „პრავდასთან“. ისინი ყოველდღე გადაშლიან „პრავდას“ და კითხულობენ, თუ რას ამბობს პარტია, რა საქმეებისათვის მოუწოდებს იგი, რის წინაალმდეგ აფრთხილებს.

„პრავდა“ დამკვიდრდა საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში, გახდა საბჭოთა საზოგადოების სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. „პრავდამ“ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ასრულებს ახალი საბჭოთა ადამიანის — კომუნიზმის შენებელის აღზრდაში. ყოველივე ამისათვის ხალხს თავის მშობლიურ და ყველაზე საყვარელ გაზეთად მიაჩნია ლენინური „პრავდა“. **(ხანგრძლივი ტაში).**

რევოლუციურ მოძრაობაში, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პროპაგანდასა და განხორციელებაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის გაზეთი „პრავდა“ თავის ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ მხურვალედ მივულოცო პრავდისტთა კოლექტივს ეს მაღალი და დამსახურებული ჯილდო. **(მქუხარე ტაში).**

დაბადების პირველი დღეებიდანვე „პრავდა“ გახდა მომზიდველი ცენტრი, პარტიის აქტიური თანაშემწე, ჩვენი ქვეყნის მოწინავე მუშების, მთელი რევოლუციური ძალების შეკავშირებისათვის ბრძოლაში. პრავდისტის სახელი გაუთანაბრდა ცნებას — ლენინელს, ესე იგი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისათვის, პარტიის საქმისათვის, მშრომელთა ინტერესებისათვის ყველაზე მტკიცე, გაბედულ და შეუტრიგებელ მებრძოლს.

ისევე როგორც ყველაფერმა, რასაც ლენინი ქმნიდა და ზრდიდა, „პრავდამ“ დიდი და სახელოვანი გზა განვლო. „პრავდა“, რომელიც იშვა როგორც მასობრივი გაზეთი მუშებისათვის, ხალხისათვის, ახლა გახდა მშრომელთა ნამდვილად საყოველთაო-სახალხო გაზეთი, ყველაზე გავრცელებული ყოველდღიური გაზეთი მსოფლიოში.

„პრავდის“ პირველი ნომრის გამოშვებას ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა უწოდა რევოლუციური გაზეთული „პირველი მერცხალი“. მართლაც. „პრავდის“ დაბადება გახდა მაუწყებელი აცაობრიობის გაზაფხულისა, რომელიც დიდი ოქტომბრის დღეებში დაიწყო.

ორმოცდაათი წლის მანძილზე „პრავდამ“ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აღზარდა და ახლა მიუძღვის გაზეთებისა და ჟურნალების ისეთ მძლავრ გუნდს, რომელსაც თავისი ძლიერი ფრთებით მსოფლიოს ყველა კუთხეში მიაქვს სიმართლე ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებათა შესახებ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი პრესის ძალის დაუშრეტელი წყაროა მისი ურღვევი კავშირი ხალხთან, მისი განუყოფელობა ხალხისაგან. საბჭოთა პრესის მუშაკებმ კომუნიზმისათვის მებრძოლთა დიადი არმიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია, პარტიის მებრძოლი დამხმარენი, ანუ, როგორც ჩვენ ვუწოდებთ მათ, საიმედო თანაშემწენი არიან, პარტიული ჟურნალისტები შრომობენ ხალხისათვის, ხალხის სამსახურია მათი ცხოვრებისა და მუშაობის აზრი. **(ტაში).**

ამ მშვენიერ, ნათელ დარბაზში შეიკრიბნენ ჩვენი გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობების, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საუკეთესო წარმომადგენლები. ისინი არიან საბჭოთა პრესის მუშაკთა მებრძოლი არმიის მხოლოდ მცირე ნაწილი, შეიძლება ითქვას, ავანგარდი.

მაგრამ ჩვენი პრესის ყველა მუშაკი მხოლოდ მცირე ნაწილია ადამიანებისა, რომლებიც ქმნიან გაზეთებსა და ჟურნალებს. საბჭოთა პრესა ნამდვილად სახალხო პრესაა. მას ქმნის ხალხი და იგი ემსახურება ხალხს, კომუნიზმის დიად იდეალებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

პარტია დიდად აფასებს პრესას, როგორც თავის უტყუარ და შორმსროლელ იდეოლოგიურ იარაღს, როგორც კომუნიზმის მშენებელთა ნამდვილად სახალხო ტრიბუნას და პრესაში მუშაობა მიაჩნია უმნიშვნელოვანეს პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობად.

გაზეთ „პრავდის“ ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალისტიკის დარგში ნაყოფიერი მუშაობისა და საბჭოთა პრესის, საგამომცემლო საქმის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის ამხანაგების დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია მთავრობის მაღალი ჯილდოებით. **(ტაში).**

ნება მიბოძეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მხურვალედ მივულოცო დაჯილდოებულ ამხანაგებს, და მათი სახით ჩვენი პრესის ყველა მუშაკს მათი შრომის ესოდენ მაღალი შეფასება. და ვუსურვო მათ ახალი წარმატებანი ხალხისათვის, კომუნიზმის დიადი საქმისათვის მნიშვნელოვან და მეტად საჭირო მუშაობაში! **(მქუხარე ტაში).**

ჩვენს ეპოქაში, სოციალიზმის ტრიუმფულ გამარჯვებათა ეპოქაში „პრავდას“ მაღლა უჭირავს ლენინური დროშა, კომუნიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, იგი მარქსისტულ-ლენინური იდეურობის, პარტიული პრინციპულობის, რევოლუციური სულისკვეთების მაგალითია ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, მარქსის, ენგელსის, ლენინის უკვდავი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. **(ტაში).**

ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი გაზეთები, მთელ მსოფლიოს ჰფენენ მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების შუქს, კომუნისტური პარტიის დიად სიმართლეს, რომელიც მშრომელთა ფიქრებსა და ინტერესებს გამოხატავს. ჩვენი პრესა დაუცხრომელი ქომაგი და პროპაგანდისტია მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში ლენინური პოლიტიკისა, იგი აქტიურად უწყობს ხელს სოციალისტური თანამეგობრობის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლებთან, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლ მთელ პროგრესულ ძალებთან საბჭოთა ადამიანების ძმური სოლიდარობის განმტკიცებას. იგი გულისწყრომით ამხილებს იმპერიალიზმის მხეცურ არსს, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს აცთმოძულეობის ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

ამაშია ძალა საბჭოთა პრესის იმ უდიდესი გავლენისა და ავტორიტეტისა, რომლითაც სარგებლობს იგი მთელ მსოფლიოში.

ჩვენს საზეიმო კრებას ესწრებიან საერთაშორისო კომუნისტური პარტიების გაზეთების რედაქტორები, ყველა კონტინენტის ჟურნალისტები, რომლებიც ჩამოვიდნენ ლენინური „პრავდის“ 50-ე წლისთავის დღესასწაულზე. **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, გულითადად მივესალმო ჩვენს საზღვარგარეთელ სტუმრებს და მათი სახით მთელი მსოფლიოს კომუნისტურ, მუშათა პრესას! **(მქუხარე ტაში).**

ასრულებენ რა ლენინის ანდერძს, „პრავდა“, მთელი საბჭოთა პრესა აქტიურად ეხმარებიან პარტიას მისი გენერალური ხაზის განხორციელებაში, პირნათლად ასრულებენ კოლექტიური აგიტატორის, პროპაგანდისტის, ხალხის მასების ორგანიზატორის თავიანთ მაღალ როლს.

პროგრამაში, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო, ჩვენ დავსახეთ გაშლილი კომუნისტური მშენებლობის გეგანტური ამოცანები. პრესის საპატიო მოვალეობაა დარაზმოს ხალხის ენერგია, მთელი ჩვენი რესურსები გეგმიან დაკალებათა შესრულებისათვის საბრძოლველად, იმისათვის საბრძოლველად, რომ თვითეული საბჭოთა კოლექტივი, თვითეული ადამიანი დღითიდღე უკეთ მუშაობდეს, სულ უფრო მეტი წვლილი შეჰქონდეს კომუნისტური საზოგადოების შექმნის საქმეში.

კომუნიზმს ქმნის საბჭოთა ადამიანების შრომა. პრესა მოწოდებულია ადიდებდეს კომუნიზმის მშენებელთა შრომას და ულმობელ ბრძოლას ეწეოდეს ზარმაცებისა და მუქთახორების წინააღმდეგ.

ჩვენი პრესის დიდმნიშვნელოვანი მოვალეობაა შეარჩიოს და პროპაგანდა გაუწიოს ყოველივე საუკეთესოს, მოწინავეს ჩვენი ქვეყნის — საწარმოო ძალების განვითარებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში, გაავრცელოს და გაამრავლოს კომუნისტური შრომის ნიმუშები, გახადოს იგი მილიონების კუთვნილება.

საჭიროა, რომ საბჭოთა პრესა კვლავაც წმიდად ტკივდეს და ამრავლებდეს ლენინურ ტრადიციებს, ყოველთვის იყოს ნამდვილად სახალხო ტრიბუნი, მებრძოლურად ეხმარებოდეს პარტიას, ხალხს, გადაჭრან კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანები, ახალი, კომუნისტური სამყაროს ადამიანის აღზრდის ამოცანები.

საბჭოთა პრესის მუშაკებისათვის ახლა არ არის იმაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ის, რომ აღაფრთოვანოს და დარაზმოს საბჭოთა ადამიანები კომუნიზმის დიადი პროგრამის შესრულებისათვის. ჟურნალისტის გულის მთელი მგზნებარება, მთელი ძალლონე და ნიჭი მიუძღვნა ასეთ კეთილშობილურ საქმეს — რა შეიძლება იყოს ამაზე დიდი და საპატიო!

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ ვულოცავ ჩვენს იუბილარს — გაზეთ „პრავდას“, ვულოცავ ჩვენს ძვირფას პრავდისტებს, ყველა ჟურნალისტსა და საბჭოთა პრესის მუშაკებს; მუშა და სოფლის კორესპონდენტებს, „პრავდის“ მკითხველებსა და მის საზღვარგარეთელ სტუმრებს დიდ დღესასწაულს. **მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

გაზეთ „პრავდის“, საბჭოთა პრესის ყველა მუშაკს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება და გულითადად ულოცავს პრავდისტთა კოლექტივს, საბჭოთა პრესის ყველა მუშაკს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მიერ დაარსებულ გაზეთ „პრავდის“ 50-ე წლის იუბილეს.

„პრავდის“ 50-ე წლისთავი ღირსსახსოვარი მოვლენაა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, საბჭოთა პრესის, ჩვენი ქვეყნის ყველა შრომელის დღესასწაულია. „პრავდა“ ლენინის პარტიის ღვიძლი შვილია, მასებისადმი მიმართული მისი მგზნებარე სიტყვაა. დიდმა ლენინმა შორსმჭვრეტელურად დაინახა „პრავდაში“ „იმ გაზაფხულის პირველი მერცხალი, როდესაც მთელი რუსეთი დაიფარება მუშათა ორგანიზაციებით და მუშათა გაზეთების ქსელით“.

ლენინური „პრავდა“ იყო დიდი ოქტომბრის მაუწყებელი, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი, მან თვალსაჩინო როლი შეასრულა კომუნისტური პარტიის გარშემო ხალხის მასების დარაზმვაში, მათს იდეურ წრთობასა და პოლიტიკურ აღზრდაში, ნამდვილად სახალხო პრესის განვითარებაში, რომელიც მშრომელთა ძირეული ინტერესების გამომხატველია.

„პრავდა“ რევოლუციური ბრძოლისა და სოციალისტურ გარდაქმნათა, დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობის სახელოვანი მატიანეა, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის მატიანეა. „პრავდა“ პარტიის ტრიბუნა, მეცნიერული კომუნიზმის იდეების განმახორციელებელი, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისათვის აქტიური მებრძოლია.

საბჭოთა პრესის ვეტერანი „პრავდა“ ყოველთვის გამოხატავს პარტიისა და ხალხის კოლექტიურ აზრსა და კოლექტიურ გამოცდილებას, თანმიმდევრულად იბრძვის პარტიის ლენინური ხაზისათვის, დაუცხრომლად ახორციელებს მის პოლიტიკას. „პრავდა“ ნიმუშია ათასობით საბჭოთა გაზეთისა და ჟურნალისათვის, სოციალიზმის მოძმე ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პრესის მეგობარი და თანაშემწეა.

დაბადების პირველი დღიდანვე „პრავდა“ ხალხის ხელით წერრება. თერმეტი ათასზე მეტი მუშათა კორესპონდენცია გამოქვეყნდა გაზეთში მისი არსებობის უკვე პირველ წელს. მას შემდეგ მუშა და სოფლის კორესპონდენტი „პრავდის“ ფურცლებზე სტუმარი კი არა, მასპინძელია. მუშა და სოფლის კორესპონდენტთა თანამედროვე სწრაფად მზარდი მოძრაობა, გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების ფართოდ გავრცელება განსახიერებს ჩვენი პრესისა და რადიოს მასობრიობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპების გამარჯვებას, მათი შემდგომი აღმავლობისა და სრულყოფის საწინდარია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ახლა, როცა საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით გიგანტურ მუშაობას ეწევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის, XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, „პრავდა“ გვიჩვენებს შემოქმედებითი პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მუშაობის ახალ ნიმუშებს, დარაზმავს მშრომელებს კომუნისტური მშენებლობის მსოფლიო-ისტორიული ამოცანების შესასრულებლად.

„პრავდის“, მთელი საბჭოთა პრესის საპატიო მოვალეობაა კვლავაც დაუცხრომლად, მთელი ბოლშევიკური მგზნებარებით შეჰკონდეთ მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, რაზმავდნენ და წარმართავდნენ ხალხის შემოქმედებითს ძალებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განსავითარებლად, ახალი ადამიანის აღსაზრდელად. გამბედულად უჭერდნენ მხარს ყოველივე მოწინავესა და პროგრესულს, გადაჭრით ამხილებდნენ ნაკლოვანებებს და ხელს უწყობდნენ მათს აღმოფხვრას. საბჭოთა ჟურნალისტების საპატიო მოვალეობაა აქტიურად განმარტავდნენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, მთელ თავიანთ ძალლონეს ახმარდნენ ბრძოლას მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ საბჭოთა პრესა, ყველა მისი მუშაკი ყოველთვის იქნებიან პარტიის ერთგული მებრძოლი თანაშემწენი მის ბრძოლაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი უსურვებს გაზეთ „პრავდის“ კოლექტივს, საბჭოთა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ყველა მუშაკს, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა საბჭოთა არმიას ახალ დიდ წარმატებებს მათს კეთილშობილურ შრომაში ჩვენი საშობლოს სასაბელოდ, მარქსიზმ-ლენინიზმის ახალი გამარჯვებებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

გაზეთ „პრავდის“ რედაქციას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს სახელით მიურავლიდ მიესალმება ლენინურ „პრავდას“ მისი საპატიოვანი ორმოცდამეათე წლისთავის დღეს და ულოცავს საბჭოთა ხალხის ტრადიციულ დღესასწაულს — პრესის დღეს.

„პრავდის“ ისტორია განუყოფელად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიასთან, ჩვენი პარტიული პრესის სახელოვან ტრადიციებთან, რომლებსაც დიდმა ლენინმა ჩაუყარა საფუძველი. „პრავდამ“ თვალსაჩინო როლი შეასრულა რუსეთში ცარიზმისა და კაპიტალიზმის დამხობისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

„პრავდა“ ყოველთვის იყო და არის კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი, პარტიის საბრძოლო იარაღი მისი რიგების მონოლითური ერთიანობისათვის, გამთიშველთა და ფრაქციონერთა მხილებისა და განადგურებისათვის ბრძოლაში, რომლებიც ცდილობდნენ აეცდინათ პარტია ლენინური გზისათვის.

„პრავდა“ ყოველთვის გამოდიოდა და გამოდის როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეების დაუცხრომელი პრპაგანდისტი, ზრდის მშრომელებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

„პრავდა“ ყოველთვის მზნებარე ბრძოლას აწარმოებდა და აწარმოებს ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ომის გამჩაღებელთა აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ.

საქართველოს კომუნისტებისათვის, ყველა მშრომელისათვის „პრავდა“ ყოველთვის იყო მაღალი პარტიულობისა და პრინციპულობის მაგალითი ხალხის ძირეული ინტერესებისათვის ბრძოლაში. ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტური პრესა, რომელიც მუდამ იცავს ლენინური „ისკრისა“ და „პრავდის“ ტრადიციებს, დღესაც სწავლობს „პრავდისაგან“ ბრძოლას სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, პარტიის ახალი პროგრამის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სახელოვანი ორმოცდამეათე წლისთავის იუბილეს დღეს უსურვებს ლენინურ „პრავდას“, მის მებრძოლ კოლექტივსა და მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მრავალათასიან არმიას შემდგომ დიდ წარმატებებსა და გამარჯვებებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად და კეთილშობილურ საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

„პრავდის“ 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის გახსნისას

ამხანაგებო!

დღეს შესრულდა 50 წელი კომუნისტური პარტიის ისტორიის იმ ღირსსახსოვარი დღიდან, როცა რუსეთში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით გამოვიდა გაზეთ „პრავდის“ პირველი ნომერი.

რევოლუციური აღმავლობის წლებში შობილმა ლენინურმა „პრავდამ“ უდიდესი როლი შეასრულა მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლაში, პარტიის რიგების განმტკიცებაში, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მუშათა კლასის ძალების დარაზმაში.

„პრავდა“, ხალხის მასების კოლექტიური აგიტატორი, პროპაგანდისტი და ორგანიზატორი, ყოველთვის იყო ჩვენი პარტიის ყველაზე ძლიერი, ყველაზე ბასრი, ყველაზე შორსმსროლელი იარაღი, მან დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცარიზმისა და კაპიტალიზმის დამხობისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებისათვის, სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ ვცხოვრობთ დიადი მიღწევების ეპოქაში. ყოველ დღეს საბჭოთა ადამიანებისათვის მოაქვს რაღაც ახალი, სასიხარულო, მნიშვნელოვანი.

სულ ამ ნახევარი წლის წინათ გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXII ყრილობა — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა, რომელმაც ბედნიერი მომავლის ნათელი გზები უჩვენა მთელ კაცობრიობას. ყრილობა, რომელმაც გამოაცხადა პარტიის ახალი პროგრამა — კომუნისტური მშენებლობის პროგრამა.

მიმდინარე წლის მარტში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, პირველი პლენუმი პარტიის ყრილობის შემდეგ, რომელმაც მიიღო ისტორიული გადაწყვეტილებანი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ძირეული გარდაქმნის შესახებ, მისი ახალი მძლავრი აღმავლობის შესახებ.

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის გარშემო ჩვენი ხალხის ერთიანობისა და დარაზმულობის უაღრესად მკაფიო დემონსტრაცია იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია, რომელიც ამას წინათ გაიმართა. მთელი საბჭოთა ხალხის სახელით უმაღლესმა საბჭომ ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა მთავრობის საქმიანობა, მოიწონა მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ხალხის რჩეულებმა დაამტკიცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა ერთგული ლენინელის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით.

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენი მშობლიური „პრავდის“ 50 წლისთავს. და ეს სახელოვანი ისტორიული თარიღიც გახდება ღირსსახსოვარი ნიშანსვეტი ჩვენს ძლევამოსილ გზაზე, საბჭოთა ხალხის გმირულ გზაზე.

ყოველ დილით გადავშლით ხოლმე „პრავდის“ ახალ ნომერს და ჩვენს თვალწინ თითქოს იღება სამყაროს სარკმელი—ჩვენ ვიგებთ სიმართლეს, დიად ბოლშევიკურ სიმართლეს იმაზე, თუ რა მოხდა მსოფლიოში წინა დღეს, ვიღებთ განწყობილებას მომავალი დღისათვის, ვიძენთ იმ პრაქტიკული ამოცანების ცოდნას, რომლებიც სწორედ დღეს უნდა გადავჭრათ. „პრავდა“ უნათებს საბჭოთა ადამიანებს ნათელი მომავლის გზას, კომუნიზმის გზას.

თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე „პრავდამ“ შეისისხლხორცა „ისკრის“ საბრძოლო ბოლშევიკური ტრადიციები, მოიპოვა უდიდესი ავტორიტეტი, მშრომელთა სიყვარული და აღიარება, რაზმავდა მასებს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ბოლშევიკების ხელში იგი გადაიქცა მოელვარე ლამპრად, რომელიც გაუთანა ხალხს ბედნიერებისათვის ბრძოლის გზა. მიუხედავად სასტიკი პოლიციური რეპრესიებისა, „პრავდა“ აღწევდა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, აღვიძებდა მუშათა კლასის აზრს და მშრომელებთან მიჰქონდა ბოლშევიკური სიმართლის მძლავრი ხმა.

„პრავდის“ მთელ საქმიანობას წარმართავდა პარტია, პირადად ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. ლენინი იყო „პრავდის“ სული და გული, მისი შთამაგონებელი და ხელმძღვანელი, იგი ამ გაზეთს ახმარდა მთელ თავის დაუშრეტელ ენერგიას, პოლიტიკური ბელადის სიბრძნეს და ჟურნალისტის ბრწყინვალე ტალანტს. „პრავდა“, რომელსაც ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა, გვიჩვენებდა პარტიული მგზნებარების, კომუნისტური იდეურობისა და პრინციპულობის, მარქსიზმისაგან უმცირესი გადახვევებისადმი შეუთანგებლობის მაგალითს; იგი იყო მებრძოლი, შემტევი გაზეთი, მკითხველთა მასებთან უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებული, მშრომელთა ინტერესებისათვის უანგარიოდ მებრძოლი. „პრავდაში“ მუშაობდნენ ბოლშევიკური პარტიის საუკეთესო ძალები. გაზეთის გარშემო არაზმებოდა ასობით და ათასობით მუშა და სოფლის კორესპონდენტი, რომლებიც შემდგომ პარტიული აქტივის ბირთვი, მუშსოფლკორთა მძლავრი მოძრაობის ფუძემდებელნი გახდნენ.

„პრავდა“, როგორც ლენინური პარტიის ერთგული თანაშემწე, იყო მებრძოლი ორგანო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების და გამარჯვებისა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში. „პრავდის“ ფურცლებზე აისახა საზოგადოებრივი ცხოვრების კომუნისტური გარდაქმნისათვის რევოლუციური ბრძოლის მთელი ისტორიული ეპოქა: „პრავდაში“ დაიბეჭდა ლენინური დეკრეტები მიწის შესახებ, ზაკის შესახებ, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მოწოდებანი და განკარგულებანი.

სამოქალაქო ომის წლებში „პრავდა“ ეხმარებოდა პარტიას მუშათა, გლეხთა, მოწინავე ინტელიგენციის დარაზმვაში საბჭოთა სახელმწიფოს განსამტკიცებლად, მისი თავდაცვის გასაძლიერებლად, უცხოელთა ინტერვენციისა და თეთრგვარდიელთა გასანადგურებლად. იგი აღანთებდა ხალხის მასების სულისკვეთებას, აღიდებდა მშრომელთა გმირობას ფრონტებზე და ზურგში. ლენინის მგზნებარე მოწოდებებს, მის სტატიებს — სოციალიზმის გამარჯვების ურყევი რწმენით გამსჭვალულ სტატიებს — „პრავდა“ აცნობდა საბჭოების ახალგაზრდა ქვეყნის მილიონობით მშრომელს. „პრავდა“ ულმობლად ამხილებდა გამთიშველებსა და ფრაქციონერებს, რომლებიც ცდილობდნენ აეცდინათ პარტია ლენინური გზისაგან, იგი იყო პარტიის ერთგული, თანაშემწე პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის, მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. მთელ თავის ძალებს „პრავდა“ ახმარდა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაჭრას, იგი მტკიცედ იცავდა პარტიის ეკონომიურ პოლიტიკას, თანმიმდევრულად და დაუცხრომლად იბრძოდა ლენინის მიერ შემუშავებული სოციალიზმის აშენების გეგმის — ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექ-

(დასასრული 10-ე გვერდზე)

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი

გალტიის გემთსამშენებლო ქარხანაში

ლენინგრადი, 4 მაისი. (საკუთარი). დღეს ბალტიის ქარხნის გემთმშენებლებს დიდი სასიხარულო დღესასწაული აქვთ. მათ მოიპოვეს კიდევ ერთი შრომითი გამარჯვება — წყალში ჩასაშვებად მოამზადეს სათვალავთან მეექვსე საოკეანო ტანკერი, რომლის წყალწყვა 40 ათასი ტონაა.

მორიგი დიდი ტონაჟის ტანკერის „ულან-ბატორის“ წყალში ჩაშვების ზეიმზე ბალტიელებთან მოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

საუბარში, რომელიც ერთ-ერთ საამქროში გაიმართა, ქარხნის დირექტორმა დ. ნ. ბალაევმა გააცნო ნ. ს. ხრუშჩოვს საწარმოს მუშაობა, უამბო ახალი გეგმების შესახებ.

ათასობით მუშა, მოსამსახურე, ინჟინერი და ტექნიკოსი შეიკრიბა ტანკერის წყალში ჩაშვების ზეიმზე. ისინი გულთბილად მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვსა და მის თანმხლებ პირებს, რომლებიც ტრიბუნაზე ავიდნენ.

ტანკერის წყალში ჩაშვების შემდეგ გაიმართა ამ მოვლენისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი.

მშობლიური ლენინური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი მიმართული გულშრფელმა სიტყვები წარმოთქვეს მიტინ

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

(დასასრული)

ტროფიკაციის, სოფლის მეურნეობის კოოპერირების, კულტურული რევოლუციის გეგმის განსახორციელებლად, ხალხთა მორის მეგობრობის განსამტკიცებლად.

იმ დიდი გზის ეტაპებს რომ ვიგონებთ, რომელიც პარტიამ და ჩვენმა სახელმწიფომ განვლეს, ვხედავთ, თუ როგორ ემსახურებოდა გაზეთი „პრავდა“ ყოველდღიურად, თავისი ყოველი ნომრით პარტიის დიად მარადიულ საქმეს, ლენინის საქმეს. „პრავდა“ იყო მასების მებრძოლი ორგანიზატორი და პროპაგანდისტი საბჭოთა ხუთწლედების პერიოდში, იგი მხურვალედ ეხმარებოდა ხალხის ინიციატივას, ადიდებდა მუშათა და კოლმეურნეთა შრომითს საგმირო საქმეებს.

„პრავდა“ პარტიის ხელში იყო მძლავრი იარაღი დიდი სამამულო ომის სუსხიან წლებში, როცა გაფთრებულ ბრძოლებში წყდებოდა ჩვენი სამშობლოს, მისი თავისუფლების, დამოუკიდებლობის ბედი, კომუნიზმის ბედი. თავის ფურცლებზე „პრავდა“ აშუქებდა პარტიისა და ხალხის ტიტანურ ორგანიზატორულ მუშაობას, როგორც მიზნად ისახავდა მტრის განადგურებას, ასახავდა საბჭოთა ხალხის უმაგალითო მასობრივ შრომითსა და მხედრულ გმირობას, რომელიც დიდი ძალით გამოვლინდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში.

გაზეთის მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით 1945 წელს კომუნიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდაში წარმატებითი მუშაობისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისა და საბჭოთა სამშობლოს დაცვისათვის საბჭოთა ხალხის დაარაზმვის საქმეში შესანიშნავი დამსახურებისათვის „პრავდა“ დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესრულების ნიშნით მიმდინარეობდა „პრავდის“ მთელი მუშაობა ომისშემდგომ წლებში, სახალხო მეურნეობის აღდგენის, სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარების, საბჭოთა სახელმწიფოს, მთელი მსოფლიო სოციალისტური ბანაკის განმტკიცების წლებში.

„პრავდა“ დიდ მუშაობას ეწეოდა და ეწევა იმისათვის, რომ შეაკავშიროს საბჭოთა კავშირის ხალხები ერთიან ძმურ ოჯახად, აღზარდოს მშრომელები საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. „პრავდა“ ყოველთვის ხრუნავდა და ყოველმხრივ უწყობდა და უწყობს ხელს სსრ კავშირის ხალხთა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებას, ულმობლად იბრძოდა შოვინიზმისა და ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

აქტიური, მრავალფეროვანი, ყოვლისმომცველი იყო „პრავდის“, მთელი ჩვენი პრესის საქმიანობა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ჭეშმარიტად რევოლუციური გარდაქმნები, რომელთა მიზანი იყო კომუნიზმის გამარჯვების დაჩქარება. „პრავდა“ განუხრელად ახორციელებდა ჩვენი პარტიის ლენინურ კურსს პიროვნების კულტის შედეგების დასაძლევად, ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებისა და პარტიული ცხოვრების ნორმების აღსადგენად.

ასრულებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, „პრავდა“ დაუცხრომლად ეწევა კომუნისტური პარტიის იდეების პროპაგანდას, რაზმავს მასებს კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის საბრძოლველად, ეხმარება პარტიას ახალი ადამიანის — კომუნისტური იდეოლოგიისა და მაღალი მორალის ადამიანის აღზრდაში.

ჩვენს „პრავდას“ მილიონობით მეგობარი ჰყავს მთელ მსოფლიოში. მის ფურცლებზე ხშირად გამოდიან საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელი მოღვაწენი. საზღვარგარეთის მოვლენებისადმი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისადმი მიძღვნილ სტატიებში „პრავდა“ ავითარებს ინტერნაციონალიზმისა და პროლეტარული სოლიდარობის პრინციპებს, აწარმოებს შეურიგებელ ბრძოლას რევიზიონიზმის, დოგმატიზმის, სექტანტობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

„პრავდა“ მგზნებარე, დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებს მტკიცე მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. ომის გამჩაღებელთა აგრესიული მისწრაფების მხილებისაკენ არის მიმართული „პრავდის“ საერთაშორისო გამოსვლების მთელი პუბლიცისტური პათოსი.

ამხანაგებო!

საქართველოს პარტიული პრესა მუდამ ერთგულად იცავდა და იცავს ბოლშევიკური პრესის საჭელვან ლენინურ ტრადიციებს. თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე „პრავდა“ მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან, სისტემატურად აშუქებდა თავის ფურცლებზე ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს რევოლუციური მოძრაობის საკითხებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შეუნელებელი ყურადღებით და ზრუნვით ადევნებს თვალყურს „პრავდა“ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებას, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებას. „პრავდის“ ფურცლებზე არაერთხელ გამოქვეყნებულა და ქვეყნდება მასალები საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის შრომითი საქმეების შესახებ. ქართველი ხალხის კულტურისადმი სიყვარულისა და პატივისცემის შესანიშნავი სიტყვები გამოითქვა „პრავდის“ მოწინავე სტატიაში, რომელიც მიეძღვნა მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადას. „ამ ძველმა, მაგრამ გაზაფხულივით აყვავებულმა კულტურამ, — წერდა „პრავდა“, — საუკუნეებში გამოატარა და შეინარჩუნა თავისი ხალხის ახალგაზრდობა და სულის სიმხნევე. მისი დიდი სიცოცხლისმოყვარეობა, რომელიც ვერ გატეხა მძიმე განსაცდელის ჟამმა, მკაცრმა ბრძოლებმა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის“.

მოკლე ისტორიულ ვადაში საბჭოთა საქართველოს პრესამ უდიდეს განვითარებასა და წარმატებებს მიაღწია. საქართველოში გამოდის რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, სარაიონთაშორისო, საუწყებო გაზეთები, ათობით მრავალტირაჟიანი გაზეთი ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე, გამოდის მრავალი ჟურნალი ცოდნის სხვადასხვა დარგში. ჩვენს პრესაში აქტიურად თანამშრომლობს 20 ათასზე მეტი მუშა და სოფლის კორესპონდენტი.

პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, პარტიის ახალი პროგრამა, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიადი გეგმა ჩვენი პრესის მუშაკთა შთაგონებისა და შემოქმედებითი აღმავლობის ახალი მძლავრი წყაროა. ჩვენ კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი წამყვანი რესპუბლიკური გაზეთები „კომუნისტი“ და „ხარია ვოსტოკა“, გაზეთები „სოვეტაკან ვრასტანი“, „სოფეტ გურჯისტანი“, „სოფლის ცხოვრება“, საოლქო, საქალაქო და ახალგაზრდული გაზეთები, ჩვენი პარტიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალები ახლა უფრო ღრმად და მკაფიოდ აშუქებენ პარტიულ ცხოვრებას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობას, კულტურულ მშენებლობას, საბჭოთა დემოკრატიის წარმატებებს. ჩვენი პრესის მუშაკები აქტიურად ეხმარებიან პარტიასა და მთავრობას კომუნიზმის მშენებლობაში, ნამდვილი მგზნებარებითა და საქმის ცოდნით უწევენ პროპაგანდას წარმოების მოწინავეთა, ნოვატორთა, ჩვენ სახელოვან შუქურათა გამოცდილებას. რესპუბლიკის გაზეთებს არაერთხელ გამოუჩენიათ კარგი ინიციატივა, რაც ხელს უწყობს ახალ წარმატებათა მოპოვებას სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

დიდ და პასუხსაგებ მოვალეობას აკისრებენ ჩვენს პრესას სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი. კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა ისტორიული ამოცანა დასახეს: ახლებურად მოვაწყოთ მიწათმოქმედება, შევცვალოთ ნათესი ფართობების სტრუქტურა, ძირეულად გარდავქმნათ სოფლის მეურნეობის მართვა, რათა უმოკლეს ვადაში შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში სიუხვე, გავაუმჯობესოთ მსოფლიოში პირველი კომუნისტური საზოგადოების მშენებელ ხალხის კეთილდღეობა.

კომუნისტური სიუხვის შექმნისათვის ლაშქრობაში მთელ საბჭოთა პრესასთან ერთად ჩაებნენ ჩვენი გაზეთებიც. პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მოვალეობაა არა მარტო გააცნონ საბჭოთა ადამიანებს წარმატები იდეები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა ღრმა აზრი, არამედ კონკრეტული მაგალითებითაც აჩვენონ სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის უპირატესობანი.

„პრავდის“ 50-ე წლისთავის წინ საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, დაიწყო გამოსვლა სარაიონთაშორისო გაზეთებმა. ჩვენი რესპუბლიკური გაზეთები მოწოდებული არიან დიდი როლი შეასრულონ ახალი გაზეთების ჩამოყალიბებაში. მათი შეფობა სარაიონთაშორისო გაზეთებისადმი, მათთან მჭიდრო კონტაქტი მხოლოდ ურთიერთ სარგებლობას მოიტანს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის თვალსაჩინო მაგალითია „პრავდა“. თავისი ღრმად გაანალიზებული, შინაარსიანი და საქმიანი რუბრიკა მასალებით იგი დიდ დახმარებას უწევს პარტიას სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნაში. ჩვენი გაზეთები მოვალენი არიან იხელმძღვანელონ „პრავდის“ ლენინური პრინციპებით, ამრავლონ საბჭოთა პრესის საბრძოლო ტრადიციები.

საბჭოთა პრესისათვის წაყენებული მაღალი იდეურობის მოთხოვნები მჭიდროდ დაკავშირებულია პრესის მუშაკთა მაღალი ჟურნალისტური ოსტატობის მოთხოვნებთან. კომუნისტური პრესა უნდა გამოირჩეოდეს პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული თემების სიახლით, ცოცხალი ხატოვანი ენით, ჟანრების მრავალფეროვნებით. ჩვენი გაზეთები და ჟურნალები მოვალენი არიან გახდნენ ნამდვილი სახალხო ტრიბუნა, უფრო აქტიურად იქრნენ ეროვნებრძენა, აქტიურად ეხმარებოდნენ პარტიას კომუნისტური მშენებლობის და ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის კონკრეტული ამოცანების გადაჭრაში, ასწავლიდნენ მასებს დადებითი მაგალითებით, ფართოდ აჩვენებდნენ ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში ახლის, კომუნისტურის ყლორტებს. საბჭოთა პრესის უპირველესი ვალია უფრო სრულად აჩვენოს სიდიადე მშვიდობის, შრომის, თავისუფლების, თანასწორობის, ძმობისა და ბედნიერების ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა, რომლებიც ჩვენი პარტიის პროგრამამ გამოაცხადა და რომლებსაც დიდამიწაზე ამკვიდრებს კომუნიზმი.

ამხანაგებო! პრესა ჩვენს ქვეყანაში გახდა ხალხის სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, ხოლო საბჭოთა ჟურნალისტიკა — პარტიულ-საზოგადოებრივი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი დარგი.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში პრესის როლი სულ უფრო იზრდება. იგი მტკიცედ შევიდა იდეოლოგიური მუშაობის ყველაზე მძლავრი და ქმედითი საშუალებების არსენალში. აღნიშნა რა ჩვენი პრესის ეს თავისებურება, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა თქვა: „როგორც არმიას არ შეუძლია იომოს უიარაღოდ, ისე პარტიას არ შეუძლია წარმატებით აწარმოოს თავისი იდეოლოგიური მუშაობა, თუ არ ექნა ისეთი ბასრი და საბრძოლო იარაღი, როგორიც არის პრესა“.

კომუნისტური პარტია დიდად აფასებს საბჭოთა ჟურნალისტების — გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის, გამომცემლობების მუშაკთა კეთილშობილურ შრომას, რომლებიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომუნიზმის მშენებლობის ისტორიულ საქმეში. ახალი ადამიანის აღზრდაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ჟურნალისტები მუშაობენ ხალხისათვის, მისი ბედნიერებისა და აყვავებისათვის.

ვუსურვოთ ამ ღირსშესანიშნავ დღეს ჩვენს ძვირფას „პრავდას“, მებრძოლი საბჭოთა პრესის ყველა მუშაკს მუდამ იყონ ძალღონითა და ენერგიით აღსავსენი, დაუცხრომლად შეჰქონდეთ ხალხში ლენინური სიმართლე, კომუნიზმის გამარჯვების რწმენა.

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღეს ვუსურვოთ ჩვენს ჟურნალისტებს — მუდამ იყონ პარტიის თანაშემწის დიდი წოდების ღირსნი, წმიდად იცავდნენ და ამრავლებდნენ საბჭოთა პრესის პარტიულობისა და მასობრიობის ლენინურ ტრადიციებს, მუდამ იყონ კომუნიზმისათვის ბრძოლის წინა ხაზზე, მუდამ იყონ მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

ხალხი მიესალმება „პრავდას“

საზეიმო სხდომა კრემლის ყრილობათა სასახლეში

ლენინურ „პრავდას“ 50 წელი შეუსრულდა. პარტიისა და ხალხის ცხოვრების ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა 5 მაისს მთელ საბჭოთა ქვეყანაში აღნიშნეს. დიდ, აღამფრთოვანებელ დღესასწაულად გადაიქცა „პრავდის“ იუბილე მისი ორმოცდაათი წლისთავის დღეს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში.

კრემლის ყრილობათა სასახლეში შეიკრიბნენ ჟურნალისტები — გაზეთების, გამომცემლობათა, საჯარეს, პრესის საგანგებო „ახალი ამბების“, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები. მუშა და სოფლის კორესპონდენტები. საბჭოთა პრესის დღესასწაულზე მოვიდნენ ამერიკელ დელეგაციის მონაწილენი.

მეტეხარე ტაშით ხვდებიან შეკრებილნი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, პარტიისა და მარქსისტულ-ლენინური პრესის ვეტერანებს, როცა ისინი პრეზიდიუმში შემოდიან. გულთბილად მიესალმებიან სხდომის მონაწილენი იუბილარ პრავდისტებს.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. მისი სიტყვა დასწრებებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და არაერთგზის შეწყვეტინეს ტაშით.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ლ. ი. ილიჩოვს, რომელმაც წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება გაზეთ „პრავდისადმი“, საბჭოთა პრესის ყველა მუშაკისადმი.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. ა. გორგაძემ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გაზეთ „პრავდის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა პრავდისტთა ჯგუფს გადასცა ლენინის ორდენი. მან გულითადად მიესალმა იუბილარებს მაღალი ჯილდო.

მოხსენება ლენინური გაზეთის „პრავდის“ 50 წლისთავის შესახებ სხდომაზე გააკეთა „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა პ. ა. სატიუკოვმა.

სხდომაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს გაზეთ „ეენმინ ჟიბაოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ ჩენ ძიუნმა, ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა, გაზეთ „ნიუ ეიჯის“ რედაქტორმა პურან ჩანდრა ჯოშიმ, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, გაზეთ „ლუმანიტეს“ პოლიტიკურმა დირექტორმა ეტიენ ფაჟონმა და სხვ.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებითა და ერთსულოვნებით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი აცხადებს, რომ გაზეთ „პრავდის“ სახელზე მიღებულია პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ბევრი ლიტერატორი და მეგობარი ჟურნალისტი კომუნისტებს, ფრუნეზეს სოციალისტურ ქვეყნების ეროვნული ... ქვეყნების კომუნისტური და პროგრესული პრესის ორგანოების უამრავი მისალმება.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გულითადი მადლობა გადაიხადა მისალმების გულთბილი სიტყვებისთვის და კიდევ ერთხელ უსურვა ჟურნალისტებს, მუშა და სოფლის კორესპონდენტებს, ბეჭდვითი სიტყვის გამავრცელებლებს, სტამბათა მუშაკებს, საბჭოთა პრესის ყველა მუშაკს ჯანმრთელობა და დიდი შემოქმედებითი წარმატებანი მათ კეთილშობილურ შრომაში.

საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება.

მისი მონაწილენი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

გაზეთ „პრავდას“ 50-ე წლისთავის დღეს

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ ულოცავს ლენინურ „პრავდას“ პირველი ნომრის გამოსვლის 50-ე წლისთავს.

ნახევარი საუკუნეა „პრავდას“ მიაქვს პარტიის ბრძნული სიტყვა მასებში, ასწავლის მილიონობით მშრომელს მსოფლიოს რევოლუციურ გარდაქმნას. გაზეთმა საბჭოთა ადამიანების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა იმით, რომ მაღალ პარტიულობასა და პრინციპულობას ირნს ხალხის ძირეული ინტერესებისათვის ბრძოლაში.

სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე „პრავდა“ ეხმარებოდა და ეხმარება მშრომელებს, საბჭოთა პროფკავშირებს ლენინურად აწარმოონ მუშაობა. პროფკავშირებსა და მშრომელებს იგი მიანიჭეთ სიმდიდრე მეგობრად და მრჩეველად ყველა საწარმოო და საზოგადოებრივ საქმეში, ახლის, მოწინავის ინიციატორად. „პრავდა“ მუდამ უჭერს მხარს პროფესიულ კავშირებს მათს საქმიანობაში სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის განსავითარებლად, ახალი ადამიანის აღსაზრდელად. მუშაობა და მოსამსახურეთა ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის ასამაღლებლად, მათი ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად. თვითეული თავისი სტრიქონით „პრავდა“ რაზმავს საბჭოთა ადამიანებს შრომითი გმირობისათვის კომუნიზმის გასამარჯვებლად.

ვუსურვებთ ჩვენს მშობლიურ „პრავდას“ ახალ დიდ წარმატებებს სკკპ ისტორიული XXII ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლაში.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართული გაზეთ „პრავდის“ 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის მონაწილეებისაგან

ძვირფასო ამხანაგებო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებო! ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვ! დღეს, შეგვიკრებიენ რა კრემლის ყრილობათა სასახლეში, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ მიმდინარეობდა სკკპ ისტორიული XXII ყრილობა, ჩვენ მოგმართავთ დიდი მადლობის სიტყვებით იმ მაღალი შეფასებისათვის, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა თავის მისალმებაში გაზეთ „პრავდისადმი“ საბჭოთა პრესის როლს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, კომუნისტურ მშენებლობაში.

დღეს ჩვენთვის დიდი და საზეიმო დღეა — ნახევარი საუკუნის წინათ გამოვიდა ყოველდღიური კომუნისტური გაზეთის „პრავდის“ პირველი ნომერი. რევოლუციის სუსხიან წლებში რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ნაყოფიერ ნიადაგში ლენინის ხელმა ჩაყარა დიადი სიმართლის მარცვლები. მათ არ აშინებდათ ქარიშხალი და ჭექა-ქუხილი, ისინი მზისკენ მიისწრაფოდნენ. და აი ჩვენს ქვეყანაში უკვე შრიალებენ მძლავრი კომუნისტური პრესის მრავალმილიონიანი ფურცლები. არ არის ისეთი კუთხე საბჭოთა ქვეყანაში, რომელსაც არ სწვდებოდეს „პრავდის“, მისი მრავალრიცხოვანი ძმებისა და დების ალმაფრთოვანებელი, მომწოდებელი სიტყვა.

სიყვარულით გამოზარდა „პრავდა“ ლენინმა — ჩვენმა დიდმა მასწავლებელმა და ბელადმა. მან უწოდა მუშათა ახალ გაზეთს იმ გაზაფხულის პირველი მერცხალი, რომ მთელი რუსეთი დაიფარება მუშათა ორგანიზაციებისა და მუშათა გაზეთების ქსელით. იგი ამბობდა: ასეთი რუსეთი ჩვენ უნდა შევქმნათ, და შევქმნით მას.

ასრულდა ლენინის ოცნება! ძველი რუსეთის ადგილას შეიქმნა დიადი და მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი, საბჭოთა პრესამ უფარფლი გავრცელება ჰპოვა. და დღეს, როცა თვალს ვავლებთ განვლილ ათწლეულებს, ჩვენ სიყვარულითა და მადლვარებით ვიგონებთ ცხრაას თორმეტ წელს და ლენინური მერცხლის პირველ მოფრენას, რომელმაც გვაჩარა ბოლშევიკური პრესის გაზაფხული.

ლენინური „პრავდის“ 50-ე წლისთავი თვალსაჩინო მოვლენაა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის იდეურ ცხოვრებაში. ლენინური ტრადიციების ერთგული „პრავდა“, ისევე როგორც მთელი საბჭოთა პრესა, ყოველთვის იყო კომუნიზმისათვის ბრძოლის მოწინავე მეჯინდე. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ერთგულება, სიმართლე, მაღალი იდეურობა და პრინციპულობა „პრავდის“ დროშაა.

დღეს ჩვენ „პრავდის“ დაბადების დღეს აღვნიშნავთ საყოველთაო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, პარტიის ახალი პროგრამით — ჩვენი ეპოქის კომუნისტური მანიფესტით. გრანდიოზულია საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი საქმეების მასშტაბი! საბჭოთა ჟურნალისტები პირობას აძლევენ პარტიას ღირსეული წვლილი შეიტანონ საერთო საქმეში. ჯერ კიდევ ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი!

ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ჩვენი პრესა, ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად ხახალხო პრესა, დროის მოთხოვნათა დონეზე იყოს. ლენინურად იბრძოდეს პარტიის საქმისათვის, მტკიცედ და სიმართლით „წერდეს თანამედროვეობის ისტორიას“. ჩვენ დიდი თემები გველოდება. ბოლშევიკური მგზნებარებით, მებრძოლი პუბლიცისტური სიტყვით დაეხმაროს საბჭოთა ადამიანებს იბრძოლონ, რომ გარდაქმნან ცხოვრება კომუნისტურ საფუძველზე. მუდამ გამოავლინოს ხალხის შრომითი გმირობის სიდიადე, საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი ხასიათ სილამაზე და სიწმინდე. ყოველდღე ასწავლოს კარგი და ამხილოს ცუდი — ასეთია საბჭოთა პრესის კეთილშობილური ამოცანები.

პარტია დიდად აფასებს საბჭოთა ჟურნალისტების შრომას, მას ჟურნალისტიკა მიაჩნია პარტიული და საზოგადოებრივი საქმიანობის განუყოფელ ნაწილად. ამბანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ჟურნალისტებს უწოდა პარტიის ეფთგული დამხმარენი. და თანაშემწენი. მისი დიადი საქმისათვის აქტიური მებრძოლნი. გაზეთი „პრავდის“ დაჯილდოება ლენინის ორდენით, საბჭოთა ჟურნალისტების დიდი ჯგუფის დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით მკაფიოდ გამოხატავს პარტიის უდიდეს ზრუნვას საბჭოთა პრესის განვითარებისათვის, შთაგვაგონებს ჩვენ, ჟურნალისტებს, ახალ საბრძოლო საქმეებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის. გმადლობთ, პარტია, ჩვენი შრომის მაღალი შეფასებისათვის! ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ დირსეულად გავამართლოთ გაწეული ნდობა. კვლავაც განვავითარებთ პარტიული პრესის ლენინურ ტრადიციებს, მთელ ჩვენს ძალღონესა და ცოდნას მოვახმართ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს.

ჩვენს დღესასწაულს აღნიშნავს დღეს მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა პრესა. მხურვალედ მივესალმებით ძვირფას თანამებრძოლებს, ვუცხადებთ ძმურ სოლიდარობას და ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

დაე ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს ლენინური „პრავდა“!

დაე ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს მთელი საბჭოთა პრესა, მთელი მსოფლიოს მუშათა და კომუნისტური პრესა!

გუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გუმარჯოს კომუნიზმს — მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს!

საბჭოთა პრესის მედროშე

საზეიმო სხდომა ზ. ფალიაშვილის სახელოგის ოპერისა და გალეტის თეატრში

5 მაისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ქალაქ თბილისის პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილთა წარმომადგენლების საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა გაზეთ „პრავდის“ 50 წლისთავსა და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღეს.

საზეიმოდ მორთულ სცენის სიღრმეში წითელი ქსოვილის ფონზე ლენინის ორდენია, ოქროსფრად ელავს სიტყვა „პრავდა“; გვერდით ციფრია „50“.

სხდომის პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოკანოვი, ვ. ა. ვეგეშიძე, ვ. მ. სირაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ტ. სტუჩებკო, ა. ნ. ინაური, მ. მ. ელდასშვილი, რ. ი. ფრუიძე, ი. ვ. როგელიანშვილი, შ. ი. ჯანუყაევი, ო. ვ. ჩერქეზია, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრები, რესპუბლიკური და საქალაქო ჟურნალებისა და გაზეთების რედაქტორები, ჟურნალისტები, მუშა და სოფლის კორესპონდენტები, რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

სხდომას შესავალი სიტყვით ხსნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

საზეიმოდ ღიარს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

სიტყვა ეძლევა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს მოადგილეს გ. ბარდოსანიძეს. იგი ამბობს:

„პრავდა“ — ასე ეწოდება გაზეთს, რომელიც 50 წლისთავის დღეს შეეკრებენით ამ საზეიმო სხდომაზე. დღეს არა მარტო ლენინური „პრავდის“, არამედ მთელი საბჭოთა პრესის, კომუნისტური სიტყვის ზეიმის დღეა.

საზეიმოდ მორთულ სცენის სიღრმეში წითელი ქსოვილის ფონზე ლენინის ორდენია, ოქროსფრად ელავს სიტყვა „პრავდა“; გვერდით ციფრია „50“.

სხდომის პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოკანოვი, ვ. ა. ვეგეშიძე, ვ. მ. სირაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ტ. სტუჩებკო, ა. ნ. ინაური, მ. მ. ელდასშვილი, რ. ი. ფრუიძე, ი. ვ. როგელიანშვილი, შ. ი. ჯანუყაევი, ო. ვ. ჩერქეზია, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრები, რესპუბლიკური და საქალაქო ჟურნალებისა და გაზეთების რედაქტორები, ჟურნალისტები, მუშა და სოფლის კორესპონდენტები, რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

სხდომას შესავალი სიტყვით ხსნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

საზეიმოდ ღიარს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

სიტყვა ეძლევა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილეს **გ. ბარდოსანიძეს.** იგი ამბობს:

„პრავდა“ — ასე ეწოდება გაზეთს, რომელიც 50 წლისთავის დღეს შეეკრებენით ამ საზეიმო სხდომაზე. დღეს არა მარტო ლენინური „პრავდის“, არამედ მთელი საბჭოთა პრესის, კომუნისტური

ჯილდო—ღირსეულთ

5 მაისს მოსკოვის კრემლი სტუმარმოყვარულად შეხვდა პრესის მუშაკთა დიდ ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

კრემლის ხუთ დარაბაზში მოეწყო ჯილდოების გადაცემა. საბჭოთა კავშირის ორდენებსა და მედლებს გადასცემდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, რუსეთის სსფრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ნ. ოროკანოვი და ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ი. პალეკისი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები ს. მ. ბუდიონი და პ. ნ. დემიჩევი.

მხურვალე ტაშით შეხვდ

კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალება

ყველა მთელი ჩვენი ქვეყანა და მასთან ერთად მთელი პროგრესული კაცობრიობა მეჩვიდმეტედ აღნიშნავენ რადიოს დღეს — 7 მაისს. 67 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დიდმა რუსმა მეცნიერმა ა. ს. პოპოვმა გამოიგონა რადიო. მისმა უდიდესმა აღმოჩენამ დასაბამი მისცა ახალ ეპოქას მეცნიერების ისტორიაში.

ამჟამად რადიო ფართოდ არის გამოყენებული მეცნიერებისა და ტექნიკის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის მრავალ დარგში, უთადოდ ახლა ძნელია წარმოიდგინო ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ჩვენს ქვეყანაში რადიომაუწყებლობისა და რადიოტექნიკის განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის სახელთან. მან ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებშივე განიალურად განჭვრიტა რადიოს უდიდესი როლი და მნიშვნელობა პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. ქვეყნის რადიოფიცირება ვ. ი. ლენინს მიაჩნდა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად. ჩვენმა პარტიამ უმოკლეს ვადაში განაზორციელა ლენინის შესანიშნავი იდეები „უკაბელო და უმანძილო გაზეთის“ შესახებ. ლენინის მითითება მასობრივი რადიომაუწყებლობის შექმნის შესახებ მთლიანად და საფუძვლიან განხორციელებულია. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა რადიოს პირშეა — ტელევიზია.

ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო ვითარდება რადიომაუწყებლობა და ტელევიზია. საკმარისია აღინიშნოს, რომ რადიოგადაცემათა და ტელეგადაცემათა საერთო მოცულობა ამჟამად დღე-ღამეში ათას ხუთას საათს აღემატება, განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ტელევიზია. 1957 წლისათვის სატელევიზიო გადაცემათა საერთო მოცულობა სსრ კავშირში დღე-ღამეში 60 საათს არ აღემატებოდა. მომდევნო წელს კი 540 საათს შეადგენს.

1950 წელს საბჭოთა კავშირში ორი სატელევიზიო სტუდია იყო, ამჟამად კი 103 სატელევიზიო სტუდიაა, მნიშვნელოვნად გაბარდა ტელევიზორთა რაოდენობა. ათი-თორმეტი წლის წინათ მთელ ჩვენს ქვეყანაში 15-20 ათასი ტელევიზორი ითვლებოდა. ახლა მარტო საქართველოში 70 ათასზე მეტი ტელევიზორია.

გასულ წელს საბჭოთა სატელევიზიონ გადაცემები პირველად იქნა მიღებული ევროპის ქვეყნებში. 1961 წლის 14 აპრილს ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის სატელევიზიო სადგურებმა მიიღეს მოსფილიოში პირველ კოსმონავტ მფრინავ გ. ა. გაგარინთან საზეიმო შეხვედრის რეპორტაჟის გადაცემა მოსკოვიდან.

შემდგომში იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების მცხოვრებლებმა არაერთხელ ნახეს ტელეგადაცემები საბჭოთა კავშირიდან.

სისტემატურად იზრდება რადიომიმღებთა და რადიოსატრანსლაციო წერტილების რაოდენობა. მარტო უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში რადიოფიცირებულ კოლმეურნე კოლმეურნეობა თითქმის ორჯერ გაიზარდა. საქართველოში 332 ათასზე მეტი რადიოსატრანსლაციო წერტილია, რეგისტრირებულია 218 ათასამდე რადიომიმღები და რადიოფიცირებულია 1.860 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, 4,800-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

რადიოტექნიკის დარგში მომუშავე საბჭოთა მეცნიერები ბრწყინვალედ განაგრძობენ ა. ს. პოპოვის მიერ დაწყებულ დიდ საქმეს. ისინი სულ უფრო და უფრო ავითარებენ რადიოტექნიკას. ამჟამად მას ახალი აღმოჩენებით და უდიდესი წვლილი შეაქვთ კოსმოსის ათვისების საქმეში.

მეტად დიდია რადიოსა და ტელევიზიის როლი და ამოცანები ჩვენი პარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში, მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

რადიოსა და ტელევიზიის, ისევე როგორც სხვა იდეოლოგიური ოფიციალურებისა და დაწესებულებების ამოცანები ნათლად და მკაფიოდ არის დასახული პარტიის XXII ყრილობის მასალებში.

გამოდიოდა რა აქედან, საქართველოს რადიომაუწყებლობამ და ტელევიზიამ ფართოდ გაშალა მუშაობა პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისათვის. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა მრავალი ჟანრი და ფორმა: საუბარი, ნარკვევი, იდეოლოგიური ინფორმაციები, რადიოდადგმა, რადიოკონცერტი და სხვ.

ყრილობის მუშაობის დამთავრებიდან ექვსი თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მიღებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ერთგვარად ამაღლდა რადიოგადაცემებისა და ტელეგადაცემების ფასი, ეფექტი ასეულ ოთხ ათასზე მეტ ადამიანს მიწყნა, ისევე როგორც მრგვალ მაგიდასთან მჯდომ ზოგიერთ დიპლომატს საკრძელს აკრავს. მათზე მოქმედებს ზედმეტი ტკივილი, რომელიც არ ანებებს ასწინანელი და ხმა მისცეს ომის წინააღმდეგ. არ ანებებს მათ გაადონ პირი და თქვან „არ გვინდა ომი“. დრეა ჩამოვიშოროთ მოვიშოროთ ზედმეტი ტკივილი და გავიაზროთ კაცობრიობის ხომალდი ომიდან, ბოგრესისა და ყაჩაღების ორბიტაზე, რათა ომის ხანძარმა ვერასოდეს, ვერ დაასახიჩროს დედამიწის მშვენიერი სახე“.

კოსმოსური სიგრცის კვლევის საერთაშორისო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ამერიკელმა კოსმონავტმა ჯონ გლენმა, რომელმაც ოლპარაკა 1962 წლის 20 თებერვლის თავის კოსმოსურ გაფრენაზე.

ჩვენ ამ ბოლო დროს უფრო ხშირად გადავცემთ კრტ-კენ მასალებს, რომლებშიც მხიდებული არიან ჩვენი ცხოვრების სარეველები, ბიუროკრატები და გამფლანგველები, წაბაძვენელები და თვალისმაბეველები, ხელოვნები, ფუნისმკეთებლები და საბჭოთა ადამიანის ბუნებისათვის სხვა უცხო თვისებების მქონე პირები.

ამ გადაცემებმა მსმენელთა და მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის კომეტეტი ამ ტიპური მეგობრები — ასეული ათასობით მსმენელი და მაყურებელი. ისინი სისტემატურად ეხმაურებიან ჩვენს გადაცემებს, გამოთქვამენ თავიანთ სურვილებს და კრიტიკულ შენიშვნებს, ხშირად ძალიან მკაცრსაც. ვეთანაზობენ გადაცემათა ახალ თემებს. ვეგულისხმობ მასალებს. მარტო 1961 წელს განმავლობაში ჩვენ რამდენიმე ათეული ათასი წერილი მივიღეთ. ისინი მიგვითითებენ საბჭოთა ადამიანების ინტერესების მრავალმხრივობაზე, მათი სულიერი სამყაროს სიმდიდრეზე, მაღალ მომთხოვნელობაზე.

რადიოგადაცემათა და ტელეგადაცემათა გაუმჯობესებას სხვა ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მატერიალური და ტექნიკური ბაზის შექმნა და განმტკიცება. ამ მიმართულებით ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ დასახულია მრავალმხრივი ღონისძიებანი. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს რადიოსა და ტელევიზიის სახლის პირველი რიგის სამშენებლო სამუშაოები. წელს დაიწყება მეორე კორპუსის დაპროექტება. ამ ღონისძიებათა განხორციელება უდავოდ შეუწყობს ხელს რესპუბლიკაში რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის, იდეოლოგიური მუშაობის ამ დიდმნიშვნელოვანი უბნის შემდგომ აღმავლობას.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ უკანასკნელ ხანს თვალსაჩინოდ გაზარდეს საქალაქო და საარაონო, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებების სოციალისტურ ბრძოლაში საწყისებზე შექმნილი რადიორედაქციების რაოდენობა.

რესპუბლიკაში უკვე შექმნილია ადგილობრივი რადიომაუწყებლობის 57 რაიონული, 5 საქალაქო, 60 საკოლმეურნეო, 8 საბჭოთა მეურნეობის, 33 საფაბრიკო-საქარხნო, 27 სასკოლო და 9 დაწესებულებების რედაქცია. რადიორედაქციები საზოგადოებრივ საწყისებზე აერთიანებენ 1.600-ზე მეტ კაცს, რომელთა შორის არიან პარტიული და კომკავშირული, პროფკავშირული და პიონერის მუშაკები, ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები და ადგილობრივი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები.

საზოგადოებრივ რადიომაუწყებლობას, როგორც იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, როგორც მასების კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღს, უშუალოდ ხელმძღვანელობენ საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტები, საქარხნო, საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციები. მათი ხელმძღვანელობით დღეისათვის გეგმიანად მუშაობენ და რადიომაუწყებლობაში ერთგვარი გამოცდილება შეიძინეს თელავის, სოფლის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ჩხოროწყუს, ტყიბულის რაიონულმა, ქუთაისისა და ფოთის საქალაქო, ნატანების, ქედა ბახვის, მელეკედერის საკოლმეურნეო, ანიგვარისა და ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობების, თბილისის ლენინის სახელობის ელექტროსამშენებლო ქარხნის, თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის და სხვ. რადიორედაქციებმა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედი საზოგადოებრივი რადიორედაქციების დიდი ნაწილის მუშაობის პირობები არასახარბიელოა. სუსტია ტექნიკური ბაზა. კავშირგაბმულობის ადგილობრივი ორგანიზაციები ჯერ ჯერობით ეფექტურ დახმარებას ვერ უწევენ რადიორედაქციებს ტექნიკური ბაზის შექმნისა და გამტკიცების საქმეში.

პარტიის ოცდამეორე ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებების წარმატებით განხორციელება, ახალი ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევების დანერგვა უზრუნველყოფს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის შემდგომ, ჯერ არნახულ განვითარებას. უახლოესი ორი თუ სამ წელიწადის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნება ადგილობრივი რადიომაუწყებლობის ერთიანი საერთოსახელმწიფოებრივი ქსელი. უკვე მომდინარე შვიდწლედის ბოლოს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქებისა და ქვეყნის ძველი რიგი სხვა მსხვილი სამრეწველო და კულტურული ცენტრების სატელევიზიონ სადგურებს საშუალება ექნებათ მიიღონ გადაცემები მოსკოვიდან.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს და ამ წლის ბოლოსთვის დამთავრდება რადიოოლეტერი ხაზის მშენებლობა თბილისიდან ქუთაისამდე. ეს სამუალებას მისცემს დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონების მცხოვრებლებს ნახონ ტელეგადაცემები თბილისიდან. ხოლო შემდეგ, როდესაც კი ხაზი შეეერთდება მოსკოვი-თბილისის ხაზს, რომელიც აღნ-ან შემდგომ, მთელი რესპუბლიკის მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება ნახოს გადაცემები არა მარტო თბილისიდან, არამედ სურვილისამებრ შეეძლება მიიღოს ტელეპროგრამები მოსკოვიდან და მოკავიანოდ რესპუბლიკების დედაქალაქებიდანაც.

მოსახლეობის ფართო მასებში იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაფართოებისა და გაუმჯობესების ამოცანები მოითხოვს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები ძალღონეს არ დაეზოგენ, რომ პირნათლად შეასრულონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები, უფრო ამაღლონ გადაცემების იდეური და მხატვრული დონე, უკეთ დააკმაყოფილონ ჩვენი ხალხის სულიერი მოთხოვნილებანი.

კ. ბარდაშხაძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარე

გულწრფელი აღიარება

ბრიუსელი, 4 მაისი. (საკუთარი). ბრაზილიისა და სსრ კავშირის კეთილი ურთიერთობა დიდი მოცულობით აღინიშნა. გუშინ ამ ზღვისპირა ქალაქში უდიდეს საგამოფენო პავილიონ „საო კრისტობალში“ გაიხსნა საბჭოთა საგარო-სამრეწველო გამოფენა. იგი საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდი გამოფენაა, რომელიც წელს საზღვარგარეთ ეწყობა.

გამოფენის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე მოვიდა ათასობითი სტუმარი: ბრაზილიის მთავრობისა და საზოგადოებრივობის, ფინანსური და მრეწველთა წრეების წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, აღგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები. სტუმრებში დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილმა გამოფენის მნახველებისადმი, რომელიც პორტუგალიურ ენაზე გავრცელდა.

გამოფენის გახსნის საზეიმო ცერემონია დაიწყო სსრ კავშირის ელჩმა ბრაზილიაში ი. ს. ჩერნიშოვმა. მან მისცა სიტყვა გუანაბარის შტატის გუბერნატორს კარლოს ლაკერდას.

ბრაზილიის მთავრობის სახელითა და დავალებით სსრ კავშირის ხალხსა და მთავრობას მიესალმა ბრაზილიის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ულისეს გიმარაესი. მან ნიკიტა ხრუშჩოვს, კომუნისტურ ქვეყნებს საზოგადოებრივობის ფართო წრეები სრული გაგებით შეხვდნენ.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა შემდეგ ხალხი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის ურთიერთობის, განსაკუთრებით საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების საკმაო დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საბჭოთა საგარეო-სამრეწველო გამოფენის.

დასასრულ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა ბრაზილიის პრეზიდენტსა და მთავრობას, გუანაბარის შტატისა და ქალაქ რიო-დე-ჟანეიროს ხელისუფლებს გამოფენის გამართვაში ხელის შეწყობისათვის და მადლობა გადუხადა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო გამოფენის მომზადებაში.

სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციამ ნ. ს. ხრუშჩოვმა რიო-დე-ჟანეიროში საბჭოთა გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით წერილი გამოუგზავნა გამოფენის მნახველებს, თქვა ნ. ს. პატოლიჩევმა. ამ წერილში საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის ხალხები, სსრ კავშირის მთავრობისა და პირადად თავისი სახელით ბრაზილიელ ხალხს უადგილად გულწრფელად უსურვებს ბედნიერებას ცხოვრებაში და წარმატებას შრომაში.

დიპლომატიური ურთიერთობის განახლებას, რაც 1961 წლის ნოემბერში ნოსდა, აღნიშნა შემდეგ ნ. ს. პატოლიჩევმა, ორივე ქვეყნის საზოგადოებრიობის ფართო წრეები სრული გაგებით შეხვდნენ.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა შემდეგ ხალხი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის ურთიერთობის, განსაკუთრებით საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების საკმაო დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საბჭოთა საგარეო-სამრეწველო გამოფენის.

დასასრულ, ნ. ს. ხრუშჩოვმა დადასტურა, რომ ბრაზილიის ხელისუფლებამ, ბრაზილიის ადამიანებმა, მუშებმა, მშენებლებმა წარმოადგენელმა, რომლებიც აქ შეიკრიბნენ საბჭოთა საგარეო-სამრეწველო გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა რიო-დე-ჟანეიროში საბჭოთა გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით წერილი გამოუგზავნა გამოფენის მნახველებს, თქვა ნ. ს. პატოლიჩევმა. ამ წერილში საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის ხალხები, სსრ კავშირის მთავრობისა და პირადად თავისი სახელით ბრაზილიელ ხალხს უადგილად გულწრფელად უსურვებს ბედნიერებას ცხოვრებაში და წარმატებას შრომაში.

დიპლომატიური ურთიერთობის განახლებას, რაც 1961 წლის ნოემბერში ნოსდა, აღნიშნა შემდეგ ნ. ს. პატოლიჩევმა, ორივე ქვეყნის საზოგადოებრიობის ფართო წრეები სრული გაგებით შეხვდნენ.

ბრაზილიის ელჩი ალბერტო ფონტენელ ლიმა-ფილჰო ამბობს, ბრაზილიელ ხალხს ეჯერებოდა, ეჯერებოდა, ეჯერებოდა,

მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე

აკადემიკოს ვ. ვ. ყლენტის დაბადებიდან 70 წლისა და მეცნიერული მოღვაწეობის 45 წლისთავის გამო.

თითქმის ნახევარი საუკუნე შესრულდა, რაც ქართული საბჭოთა მედიცინის მეცნიერების საქმეს უანგაროდ ემსახურება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ვლადიმერ ყაფლანის-ძე ყლენტი.

აკადემიკოსი ვლ. ყლენტი ქართველ მედიცინის მეცნიერთა იმ პირველ სახელოვან პლეადას ეკუთვნის, რომელთა სახელებთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული საამქოლო მედიცინის შექმნა-დაარსების, მისი შემდგომი ზრდა-განვითარებისა და შემოქმედებითი სრულყოფის საკითხები.

ვლ. ყლენტმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მორფოლოგიურ პათოლოგიას, პათოლოგანატომიურ სამსახურს და შექმნა პრაქტიკოს და მეცნიერ პათოლოგანატომთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კადრი. ვლ. ყლენტის ხელმძღვანელობით ალიზარიდა იგრეთვე სასამართლო-მედიც-ექსპერტთა პირველი ეროვნული კადრიც.

ვლადიმერ ყაფლანის-ძე ყლენტი დაიბადა 1891 წლის ნოემბერში მაზარაძის რაიონის სოფელ მზიანში; აქ პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის გიმნაზიაში. 1910 წელს ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა ყოფილი ნოვოროსიის უნივერსიტეტის (ქ. ოდესა) სამედიცინო ფაკულტეტზე, სადაც მას წარჩინებული სწავლისათვის დანიშნული ჰქონდა სახელწოდო სტიპენდია.

ვლ. ყლენტმა მიზნად დაისახა პათომორფოლოგი გამხდარიყო. 1915 წელს მან წარჩინებით ჩააბარა გამოცდები და მიიღო დიპლომი „ექიმი—წარჩინებით". 1918 წელს, სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, მან განაგრძო მუშაობა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, სადაც 1919 წელს ჩაბარა თეორიული და პრაქტიკული გამოცდები მედიცინის დოქტორად მოსამზადებლად. 1920 წელს ვლ. ყლენტს ნიშნავენ ოდესის უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე ჯერ პროზექტორის თანაშემწედ, ხოლო შემდეგ უფროს ასისტენტად და პროზექტორად. ამასთან ერთად ის კითხულობს პათოლოგიასა და სეკციის მთლიან კურსს სტუდენტებისათვის და ეწევა ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას.

1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის საპატ. ვლ. ყლენტს თბილისში იწვევს და ირჩევს პათოლოგიური ანატომიის კათედრის გამგედ, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს. 1925 წელს ვლ. ყლენტი ბრწყინვალედ იცავს სადოქტორო დისერტაციას და მას ენიჭება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო შემდეგ — პროფესორის წოდება.

1930-1931 წლებში ვლ. ყლენტი ცოდნის შემდგომი გაღრმავების და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით სამეცნიერო მივლინებაში იმყოფება ევროპის ცნობილ პათოლოგანატომიურ ცენტრებში.

ვლ. ყლენტის უშუალო ხელმძღვანელობით ყალიბდება პათოლოგიური ანატომიის კათედრები ზოოვეტერინარულ, სტომატოლოგიურ, ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში. მის მიერ ორგანიზებულია თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრა და პათოლოგანატომიური განყოფილებები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბ. ნინამძღვრიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის, ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში. დიდი სამამულო ომის წლებში ვლ. ყლენტი მუშაობდა კონსულტანტად ევაკოჰოსპიტლებში.

1941 წელს ვლ. ყლენტს ნაყოფიერი მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მიენიჭა

და სეკციის ტექნიკის კურსში, რომლებზეც ათასობით ექიმი აღიზარდა. ვლ. ყლენტმა შექმნა პათოლოგიური ანატომიისა და სასამართლო მედიცინის ქართული ტერმინოლოგია.

ვლ. ყლენტის სამეცნიერო მოღვაწეობაში ძირითად მიმართულებას თანამედროვე პათოლოგიისა და კლინიკური მედიცინის აქტუალური საკითხები შეადგენს. მისი მთელი რიგი შრომები ეხება კარდიო-ანგიო-პათოლოგიის, ინფექტოლოგიის, ტუბერკულოზის, ონკოლოგიის, დაავადებათა განვითარების მექანიზმის და გაჯანმრთელების მორფოლოგიური საფუძვლების საკითხებს. ვლ. ყლენტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნოზოლოგიურ პროფილს. ვლ. ყლენტისა და მისი ხელმძღვანელობით მომუშავე თანამშრომლების მიერ დადგენილია რესპუბლიკის ნოზოლოგიური პროფილი.

ვლ. ყლენტი თავისი მოღვაწეობის სფეროში, მეცნიერულ-პრაქტიკული მუშაობის გარდა, დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოში სამედიცინო კადრების მდგომარეობას და მათი შემდგომი ზრდის პერსპექტივებს. ამ მიმართულებით მის მიერ შესრულებულია მრავალი სამედიცინო-ისტორიული, მეცნიერულ-ორგანიზაციული და სასწავლო-ორგანიზაციული ხასიათის შრომები, ხოლო ვლ. ყლენტის მიერ შესრულებულ რამდენიმე კრიტიკულ-ბიოგრაფიულ შრომაში ასახულია გამოჩენილი ქართველი ექიმების ცხოვრება და მოღვაწეობა.

ვლ. ყლენტის შემოქმედებითი იდეების მნიშვნელოვანი ნაწილი განხორციელებულია მისი მოწაფეების მრავალრიცხოვან ნაშრომებში. ვლ. ყლენტის ხელმძღვანელობით შესრულებულია 300-მდე სამეცნიერო შრომა, მათ შორის ოთხმოცი საკანდიდატო და ორმოცი სადოქტორო დისერტაციაა.

ვლ. ყლენტს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში სამედიცინო მეცნიერების ორგანიზაციის საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მუშაობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც იგი 1932-1950 წლების განმავლობაში იყო ჯერ სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის ხელმძღვანელი, შემდეგ კი სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი. ამავე დროს იყო მთელი რიგი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამეცნიერო საბჭოს წევრი, ხელმძღვანელობდა მედიცინის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების მიზნით შექმნილ კომიტეტებს, მათ შორის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო საბჭოს და სხვ. 1946-1951 წ. წ. ვლ. ყლენტი იყო აკადემიის მედიკურ-ბიოლოგიური განყოფილების ბიუროს წევრი. ამჟამად იგი აღნიშნული აკადემიის მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების ბიუროს წევრია და აკადემიასთან არსებული ავთვისებიანი სიმსივნეების შემსწავლელი საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარე. ვლ. ყლენტი არის საპატიო წევრი პათოლოგანატომთა საკავშირო სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოებისა.

ვლ. ყლენტის ხელმძღვანელობით 1943 წლიდან ორგანიზებულ იქნა საქართველოს სსრ პათოლოგანატომთა სამეცნიერო საზოგადოება, რომლის უცვლელი თავმჯდომარეც არის ის დღემდე.

ვლ. ყლენტი სკკპ წევრია 1945 წლიდან. იგი დიდიხნის მანძილზე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი იყო.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ვლ. ყლენტის ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური, საზოგადოებრივი და პრაქტიკული მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებით, აგრეთვე მედლებით, სამკერდე ნიშნებითა და სიგელებით.

ვლ. ყლენტი თავისი ბუნებით გამოირჩევა როგორც განსაკუთრებულად შრომისმოყვარე, მუშაობაში მეტად ზუსტი და ობიექტური, მომთხოვნი და სამართლიანი ადამიანი.

ასეთია ჩვენი სახელოვანი, ღვაწლმოსილი და ამაგდარი მეცნიერის, ვლადიმერ ყლენტის მიერ გავლილი გზა. რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებრიობა მხურვალედ ულოცავს მას დაბადებიდან 70 წლისა და მეცნიერული, პედაგოგიური, საზოგადოებრივი და პრაქტიკული მოღვაწეობის 45 წლისთავს. მისი ურყევი ფიზიკური მხნეობა და შემოქმედებითი ენერგია საწინდარია მისი შემდგომი ნაყოფიერი მოღვაწეობისა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობის საქმის საკეთილდღეოდ.

პ. ბელგახიანი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

სანატორიუმ „იმერეთი"



ჩვენი სტუმარი

მეცნიერმა იმოგზაურა ტივით

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკენტ დარბაზი ხალხით არის სავსე. აქ არიან მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები — ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, გეოლოგები, ფილოლოგები, მათემატიკოსები. ყველას აინტერესებს ნახოს და მოუსმინოს ცნობილ მოგზაურს ნორვეგიელ ეთნოგრაფს, პოპულარული წიგნის „მოგზაურობა კონ-ტიკით" ავტორს ტურ ჰეიერდალს.

და აი დარბაზში შემოდის მაღალი ტანის, მზემკიდებული მამაკაცი, რომელსაც ოქროსფრად მბზინავი თმა გვერდით აქვს გადავარცხნილი. უნივერსიტეტელები გულთბილად ხვდებიან ძვირფას სტუმარს.

ტურ ჰეიერდალმა თავის ხუთ ამხანაგთან ერთად 1947 წელს განახორციელა არაჩვეულებრივი მოგზაურობა. მათ პრიმიტიული ტივით, რომელიც შეკრული იყო 9 მორისაგან, გადასერეს წყნარი ოკეანე სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ქვეყნიდან — პერუდან პოლინეზიის კუნძულებამდე. მკვლევარებმა 100 დღეში გაიარეს 4.300 საზღვაო მილი და მიაღწიეს პოლინეზიის ცენტრალურ კუნძულს. ტურ ჰეიერდალის ხელმძღვანელობით განხორციელებული ეს მოგზაურობა აღიარებულია როგორც უკანასკნელ ას წელიწადში ერთ-ერთი ყველაზე მაღალცური სამეცნიერო ექსპედიცია.

რისთვის დასჭირდა ნორვეგიელ მეცნიერს ტივით მოგზაურობა, როცა ჩვენს ეპოქაში ასე ფართოდ არის განვითარებული საზღვაო ტრანსპორტი?

პოლინეზიის კუნძულების მკვიდრთა წარმოშობის შესახებ მსოფლიოში გავრცელებულია ორი ერთმანეთის ხაზ წინააღმდეგი აზრი. ერთნი ამტკიცებენ, რომ პოლინეზიის მკვიდრთა წინაპრები იყვნენ აზიელები და ახალელენ აზიის სხვადასხვა ქვეყნებს, მათ შორის კავკასიასაც, მეცნიერთა მეორე ჯგუფის აზრით, რომელსაც იზიარებს ტურ ჰეიერდალიც, პოლინეზიელების წინაპრები იყვნენ სამხრეთ ამერიკიდან წასულნი, ჰეიერდალი ამტკიცებს, რომ მათ შეეძლოთ უბრალო ტივებით გადაესერათ წყნარი ოკეანე და დასახლებულიყვნენ პოლინეზიის კუნძულებზე. სწორედ ამის დასამტკიცებლად მოაწყო ჰეიერდალმა ეს უჩვეულო მოგზაურობა.

ეს საინტერესო და მრავალ ხიფათთან დაკავშირებული მოგზაურობა ჰეიერდალმა აღწერა წიგნში „მოგზაურობა „კონ-ტიკით", რომელიც ნორვეგიაში 1948 წელს გამოვიდა. ეს წიგნი ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში. იგი ითარგმნა მსოფლიოს ხალხთა 57 ენაზე, მათ შორის ქართულადაც.

ტურ ჰეიერდალი ქართველ მეცნიერებს, სტუდენტებს აცნობს თავისი მოგზაურობის მასალებს, ესაუბრება სხვა სამეცნიერო ექსპედიციებზე, რომლებიც მან განახორციელა გალაპაგოსისა და აღდგომის კუნძულებზე. ლექციის დამთავრების შემდეგ ჰეიერდალს მრავალი შეკითხვა მისცეს.

როგორც ჰეიერდალმა აღნიშნა, მისი წიგნის გმირები ყველანი ჯანმრთელად არიან და სხვადასხვა საქმიანობას ეწევიან.

ჰეიერდალმა თავისი მომავალი მუშაობის შესახებ აღნიშნა, რომ იგი გასულ წელს აირჩიეს არქეოლოგთა კონგრესის წევრად და შეიძლება კვლავ განახორციელოს მოგზაურობა პოლინეზიაში არქეოლოგებთან ერთად.

ლექციის დამთავრების შემდეგ ტურ ჰეიერდალს სასტუმროში ვეწვიეთ და ვესაუბრეთ.

— დიდი სიამოვნებით მივიღე საზოგადოება „სსრ კავშირ-ნორვეგიის", აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევა თქვენს ქვეყანაში. მეუღლეც თან მახლდა, მაგრამ სამწუხაროდ ავად გახდა და მოსკოვში დავტოვე.

საბჭოთა კავშირში მეორედ ჩამოვედი. პირველად ომის წლებში 1944 წელს, საქართველოში კი პირველად ვარ. თქვენს სამშობლოზე, თქვენს ხალხზე ბევრი წამიკითხავს და მსმენია, მაგრამ გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ აქ ნახულმა და განცდილმა ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. განსაკუთრებით მომხიბლა თქვენი ხალხის გულთბილმა დამოკიდებულებამ და სტუმართმოყვარეობამ, რომელსაც ყველგან ვგრძნობ. აღტაცებაში მომიყვანა საქართველოს ეთნოგრაფიულ გამოფენაზე, ხელოვნებისა და ახლელმწიფო მუზეუმში ნახულმა მდიდარმა მასალებმა. ვნახე უძველესი დედაქალაქი მცხეთა, მისი ისტორიული ძეგლები, შევხვედი და ვესაუბრე ქართველ მეცნიერებს, ახალგაზრდებს. მინდა გითხრათ, რომ დიდად კმაყოფილი ვარ აქ ჩამოსვლით.

— რაზე მუშაობთ ამჟამად?

— ვამუშავებ და სამ ტომად გამოვცემ აღდგომის კუნძულიდან ჩამოტანილ მდიდარ არქეოლოგიურ მასალებს. ერთი ტომი უკვე გამოცემული მაქვს, მეორე და მესამე ტომებისათვის მასალების დამუშავებას ვამთავრებ. ამავე დროს მინდა დამატებით შევისწავლო ლენინგრადის მუზეუმში დაცული რუს მეცნიერთა გამოკვლევები. საქართველოს გაცნობის შემდეგ გავეგზავრები ლენინგრადში და შევისწავლი ამ მასალებს.

ტურ ჰეიერდალს დაურეკეს. მას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ელოდნენ. დრო განსაზღვრული აქვს ჩვენს სტუმარს. მას სურს ბევრი რამ ნახოს, გაიცნოს. ბოლოს ვთხოვეთ ეპასუხნა ჩვენს კიდევ ერთ შეკითხვაზე. რა სურს მას გადასცეს გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებს.

— პირველ რიგში მინდა სულით და გულით ვუსურვო გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებს ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე. მინდა გადავცე ჩემი სურვილი, რომ საჭიროა ვიბრძოლოთ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ხალხთა ბედნიერებისა და სოლიდარობისათვის.

ლ. ხუბულური.

სურათზე: უნივერსიტეტის სტუმარი ტურ ჰეიერდალი პროფესორ ნ. ქოიავას გადასცემს „კონ-ტიკის" მაკეტს.

ფოტო ვ. ჯეირანოვისა.

თეატრალური ცხოვრება

ცხინვალი. (საკ. კორ.). კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართულმა დასმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ვაჟა-ფშაველას დრამა „მოკვეთილი".

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ს. ახალაძემ, მხატვრულად გაფორმა ს. კოჩიევმა, მუსიკა დაწერა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. სებუამ.

სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ი. ცხვირაშვილი და ი. შერაზადიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. სარალელი, მსახიობები ვ. დარბაზაშვილი, გ. ქოქოევი, ნ. ვაშაკიძე, თ. გასანოვი და სხვები.

□ **ზუგდიდის** შ. დადიანის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა ვ. კახელელაძის პიესა „ერთხელ დახოცილები". სპექტაკლის დადგმა განახორციელა ახალგაზრდა რეჟისორმა ნ. დეისაძემ, მუსიკალურად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. სებუამ, მხატვარია დ. ჯიკონია.

ბ. ალშიბაია.

□ **ტყიბული.** (საკ. კორ). ადგილობრივმა სახალხო თეატრმა კიდევ ერთი ახალი სპექტაკლი გაახარა მაყურებელი. ამ დღეებში აქ უჩვენეს პ. ჯაკომეტის დრამა „დამნაშავის ოჯახი". სპექტაკლი დადგეს ლ. კახიძემ და ნ. ქათამაძემ.

□ **ონი.** (საკ. კორ.). მრავალფეროვან მუშაობას ეწევა სორის კულტურის სახლი. დრამატულმა წრემ, რომელსაც სცენისმოყვარე ზ. ურეკიძე ხელმძღვანელობს, ამ დღეებში დადგა ვ. პატარაიას პიესა „მისი საიდუმლო".

დიდი ხანი არ გასულა, რაც კურორტ წყალტუბოს კიდევ ერთი ახალი სანატორიუმი „იმერეთი" შეემატა. ამ სანატორიუმს გააჩნია ყველა სახის სამკურნალო დიაგნოსტიკური კაბინეტ-ლაბორატორია, რომლებიც აღჭურვილია უახლესი აპარატურით. კურორტის სამედიცინო პერსონალი მკურნალობის კომპლექსურ მეთოდებთან ერთად უხარიახად იყენებს კურორტის ბუნებრივ ფაქტორებს.

ავადმყოფ დამსვენებელთა მადლობას იმსახურებენ ექიმები დ. კეთილაძე, გ. გუბელაძე, შ. ღიმბრაძე, ე. ხოსელიძე, შ. მკედლიშვილი, მთა გვერდით უდგანან და ვულისყურით უვლიან ავადმყოფებს ექთანები თ. სანაკიძე, ზ. კაკაბაძე, თ. შვანგირაძე, რ. მოსეშვილი, ე. გრონსკაია და სხვები.

სამედიცინო პერსონალის გულისხმიერებით აღფრთოვანებულ ბარათებს სწერენ სანატორიუმის მთავარ ექიმს ბ. გენელიძეს პოლონეთიდან ანტონიო და ანტონინა კვიტკოვსკები, რომლებმაც კურორტ „იმერეთში" მკურნალობით აღიდგინეს ჯანმრთელობა.

დიდი მადლობის გრძნობას გამოხატავს ბარათში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ურუმჩის სიანცინის უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი შენ ლი-ლოუსი.

სანატორიუმ „იმერეთს" მრავალდ ეწევიენენ დამსვენებლები უკრაინიდან, ყაზახეთიდან, საქართველოს რაიონებიდან. აქ უკვე დასვენება და იმკურნალა 2.388 კაცმა.

ავადმყოფთა კულტურული გართობისა და დასვენებისათვის სანატორიუმში შექმნილია ყველა საჭირო პირობა.

გ. ლეჟავა.

* * *

სურათზე: სანატორიუმ „იმერეთის" ხედი.

ფოტო რ. ბაბანაშვილისა.

ა. ვ. კობერიძე — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს ოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგემ, დოცენტმა ალექსანდრე ვარლამის-ძე კობერიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის, გეოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტების გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ბიოლოგიური მეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ჰორმონების და ზრდის სტიმულატორების გამოყენების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ალექსანდრე ვარლამის-ძე კობერიძისათვის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიკუთვნება.

ამგზეგი, ცნობები, ფაქტები

ვისია „მოსკვიჩი" და საძინებელი გარნიტური?

გრძელდება საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1962 წლის პირველი გამოშვების ლატარიის მოგებათა გაცემა.

უკვე გაცემულია ბევრი ფულადი და ნივთმოგება, მათ შორის შსუბუქი ავტომანქანები, რადიოლები, ტელევიზორები, მაცივრები, აგრეთვე 500, 300, 100-მანეთიანი ფულადი მოგებანი და სხვ.

ავტომანქანების გასაცემი მაღაზიიდან „ბედნიერი" ბილეთების მფლობელებმა უკვე 4 ავტომანქანა „ვოლგა" და 18 „მოსკვიჩი" მიიღეს.

ჯერ კიდევ არ არის წარმოდგენილი გასანაღდებლად ლატარიის სამი ბილეთი, რომლებსაც ავტომანქანა „მოსკვიჩი" ხვდა და ორი ბილეთი, რომლებმაც მოიგეს საწოლი ოთახის გარნიტური.

ამჟამად დიდი წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1962 წლის მეორე გამოშვების ლატარიის ბილეთების გაყიდვა.

დ. გოგრგიძე.

მღერიან, ცეკვავენ ქუთაისი.

(საკ. კორ.). ერთ კვირას გრძელდებოდა სიმღერისა და ცეკვის დღესასწაული — ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების საქალაქო დათვალიერება.

დათვალიერებამ ბევრი მოწინავე კოლექტივი და ინდივიდუალური შემსრულებელი გამოავლინა. ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი ადგილი მიეკუთვნა მე-2 საშუალო სკოლას, მეორე ადგილზე გამოვიდნენ პირველი და მე-12 საშუალო სკოლები, ხოლო მესამეზე — მე-3, მე-14 და მე-15 სკოლები.

რუსთავიდან აფრიკამდე

რუსთავი. (საკ. კორ.). ნავსადგურ კონაკრისაკენ ამ დღეებში გაიგზავნა ქართველ მეტალურგთა მიერ დამზადებული მაღალხარისხოვანი მილები, რომლებსაც დიდი გამოყენება აქვთ ნავთის მრეწველობაში. ისინი დამზადდა მალის რესპუბლიკის შეკვეთით. რუსთაველი მეტალურგები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ სამუშაოს და ვადაზე ადრე შეასრულეს.

და განა მარტო მალის რესპუბლიკა იღებს რუსთაველთა ნახელავს?! ქართველ მეტალურგთა პროდუქცია წელს ორჯერ გაიგზავნა გვინეის რესპუბლიკაშიც.

ქართული ლითონის ერთ-ერთი მუდმივი მომხმარებელია აგრეთვე ეგვიპტე. წინათ ქართველ მეტალურგთა მიერ გაგზავნილ პროდუქციას ეგვიპტელები იყენებდნენ კაიროს მედიკამენტების ქარხნის მშენებლობაზე, ახლა კი რუსთავის მარკის მეტალურგიული პროდუქცია ხმარდება ასუანის კაშხალის მშენებლობას.

ტყე გადაარჩინეს

თელავი. (საკ.კორ.). ციგგომგორის ჩრდილოეთ კალთებზე გაზლილ ტყეში გაჩენილი ხანძარი პირველმა ფოტორეპორტიორმა გრ. საამოვმა შენიშნა. მან გადაწყვეტილება სწრაფად მიიღო — ერთი ახალგაზრდა სახანძრო რაზმისაკენ აფრინა, დანარჩენები კი ტყეში გაიყოლია.

ტყეში ხანძარი მძვინვარეობდა. ახალგაზრდები ოთარ ჯაფიაშვილი, ელდარ ურჩუხიშვილი, შალვა ბროევი და სხვები თავგანწირვით ეკვეთნენ ცეცხლს. მალე სახანძრო რაზმიც მივიდა. რამდენიმე საათის გრძელი წარმატებით დამთავრდა, აქოჩრილი ტყე დაწვას გადაარჩინეს.

დორის ლაინე თბილისში

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 4 მაისს გაიმართა ფინეთის ეროვნული ოპერის წამყვანი მსახიობების დორის ლაინეს და კლაუს სალინის პირველი გამოსვლა პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „გედის ტბაში".

დორის ლაინეს ჩვენი ქალაქის საზოგადოებრიობა გაეცნო ჯერ კიდევ შარშან, როცა იგი პირველად იყო ჩამოსული საქართველოში. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ განვლილ პერიოდში ნიჭიერ მსახიობს თავისი ცეკვები და თამაში გაუმდიდრებია ახალი მტრიხებით, რომელთა ოსტატური გამოყენებით კიდევ უფრო ღრმაშინაარსიანი გახდა ოდეტა-ოდილიას — კლასიკური ქორეოგრაფიის ერთ-ერთი ურთულესი სახე. მაგალითად, პირველი აქტის ცხობილ ადაჟიოს, რომელიც ოდეტასა და ზიგფრიდის სიყვარულისა და დრამის კვანძს წარმოადგენს, დორის ლაინე ახლა ასრულებს დიდი ლირიკული მელოდიურობით.

ფინელი ბალერინას მიერ შექმნილი ოდეტას სახის ძლიერ მხარეს წინანდებურად ფინალური აქტი წარმოადგენს. მსახიობი მღელვარე ცეკვით ფსიქოლოგიურად სწორად გადმოსცემს სულიერ განწყობილებას ქალიშვილი-გედისა, რომელიც შიშობს არ დაკარგოს მოპოვებული ბედნიერება.

სულ სხვა სალებავებით ხატავს დორის ლაინე ოდილიას ქორეოგრაფიულ სახეს. მსახიობის ცეკვებს ახასიათებს მომხიბლავი ვირტუოზულობა, რომლის საშუალებითაც იგი დამაჯერებლად ხსნის არა მარტო ავი გენიის — როტბარდის ვერაგი ქალიშვილის ხასიათს, არამედ მთელი ეპიზოდის დრამატულ აზრს. მაღალი მხატვრული გემოვნებით ცეკვავს დორის ლაინე დიდ ვალსს, რომელიც უაღრესად მშვენიერია თავისი მელოდიური გამოსახულებით, ხოლო ოდილიას ვარიაციებს თავბრუდამხვევი ტემპით ასრულებს.

საუკეთესო პარტნიორობა გაუწია დორის ლაინეს მისმა თანამემამულემ კლაუს სალინმა, რომელმაც პრინც ზიგფრიდის როლი შეასრულა. სალინი კარგი მოცეკვავეა, რომელიც განვითარებულ ქორეოგრაფიულ ტექნიკას ფლობს.

თბილისელი მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ ფინელი სტუმრების გამოსვლას. 7 მაისს ჩვენი გასტროლიორები წამყვან პარტიებს შეასრულებენ ა. ადანის ბალეტ „უშველელში".

* * *

სურათზე: სცენა „გედის ტბიდან" ოდეტა-ოდილია — დორის ლაინე, ზიგფრიდი — კლაუს სალინი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თეატრები

6 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ლაურენსია (დღისით), ტრავიატა (საღამოს, დ. ბალერინის მონაწილეობით), **რუსთაველის სახელობის** — თანამედროვე ტრაგედია (დღისით), წვიმის გამყიდველი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — გადაჯაჭვულნი (დღისით), აფროდიტეს კუნძული (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ბედნიერი უიღბლო (დღისით), თეთრ ღამეებთან გამოთხოვება (საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ორი ქალიშვილი (რკინიგზელთა სახლში), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — წითელი ეშმაკუნები (აბონ. № 23, 11 ს.), თოვლის დედოფალი (აბონ. № 50, 4 ს. აბონ. № 38, 7 ს.).

ტელევიზია

12.00 — ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 12.20 — ნორჩ რკინიგზელთა ზეიმი (ტრანსლაცია სპორტული რკინიგზიდან), 12.55 — მხატვრული ფილმი. ფილმის შემდეგ — ქართული და რუსული ენების გაკვეთილი, 18.00—გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.40 — კონონარკვეკი, 19.10 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.30 — გადაცემა — „მხატვრის სახელოსნოში", 20.10 — კონონარკვეკი, 20.30 — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 21.10 — მხატვრული ფილმი — „წარსულის ძიება".

კინო

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი (საზაფთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფთრო), **გაზაფხული, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი) — აღდგომა (მეორე სერია), **ისანი** (საზაფხულო) — აღდგომა (პირველი სერია), **თბილისი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **სტერეოკინო ნაკადული** — ალიონკა, **კომკავშირელი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფთრო) — ბედნიერების მაძიებელი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **კოლხიდა** (საზაფთრო), **ჰავანაძის სახელობის კლუბი, საქართველო** (საზაფხულო) — გოგონები, **კოლხიდა** (საზაფხულო) — საგანგებო შემთხვევა (I-II სერია).

ბალეტი

7 მაისი

პირველი პროგრამით

08.15 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკა, 09.20 — ლიტერატურული გადაცემა. ქართველი პოეტების ახალი ლექსები სამშობლოსა და პარტიაზე, 12.00 — რადიონარკვეკი — „ლაპარაკობს საქართნო რადიოკვანძი", 12.15 — ჩაიკოვსკი. მეოთხე სიმფონია, 13.40 — სიმღერები საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის სოლისტების შესრულებით, 17.20 — სომხეთისა და აზერბაიჯანის რადიოს ხალხურ საკავთა ორკესტრის კონცერტი, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის: „როცა თანამგზავრი ცაზე დაეკიდება", 18.05 — ქართული ხალხური საკრავთა ანსამბლის კონცერტი, 18.30 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი „ქარიშხალას" სტადიონიდან", 19.15 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი ქუთაისიდან, 19.45 — კონცერტი, 20.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან — ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე საერთაშორისო კონკურსის დასკვნითი კონცერტი, 22.30 — რადიოს დღისადმი მიძღვნილი რადიოდადგმების ფესტივალი. „ზღვის ქარი".

რა ვნახოთ, მოვისმინოთ

„ბურევესტნიკის" სტადიონი (ვაკე) 6-7 მაისს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის ოსტატთა გუნდებს შორის.

6 მაისი

„დინამო" (თბილისი) — „პრილიპა სოვეტოვ" (ყუბიშევი)

(სათადარიგო შემადგენლობა)

დასაწყისი 16 საათზე.

უამინდობის შემთხვევაში თამაში გადატანილ იქნება ოსკა-ს სტადიონზე.

7 მაისი

„დინამო" (თბილისი) — „პრილიპა სოვეტოვ" (ყუბიშევი)

(ძირითადი შემადგენლობა)

დასაწყისი 17 ს. 30 წ.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, სსრ